345
1897/2

№ XI

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1897 ნოემბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

უურნალ „ჯეჯილისა“

I მთხოვარი, ლექსი—შ. მდვიმელისა 3
II ქალალდის ამბავი—თეოფ. კანდელაკისა 5
III პატარა ლორდის თავ-გადასავალი (შემდეგი)—ე—კოსი . . 17
IV ჭიანჭველა, ლექსი—მაფშალიასი 28
V ორი ობოლი: ედიშერა და გიშერა - თ. კანდელაკისა . . . 30
VI ფარნაოზი (ისტორიული ამბავი)—გ. წულტუბელისა . . . 41
VII საკვირველებანი ბუნებისა—ხე-გველა—ლადო ალნიაშვილისა . 45
VIII პატარა წინამძღოლი (თარგმანი) ს. ციციშვილისა 48
IX ქურდი მოჯამაგირე (იგავი)—ალ. მ—შვილისა 52
X წერილმანი: ხალხური ლექსები, ზმები, შარადა, რებუსი
და სხვა 54

თანახმათ მათი ყოვლად ფუსამლვდელოესობის საქართველოს ეპარხოსის დამტკიცებისა, თფილისის საეპარქიო რჩევამ, 17 ოკტომბერს გადასწყვიტა ქართული საყმაწვილო უურნალი „ჯეჯილი“ საქართველოს ეპარქიის სამრევლო სკოლებში მიღებულ იქმნას საზმარებლათ.

მოვაგონებთ „ჯ ე ჯ ი ლ ი ს“ ხელის მომწერლებს, რომ ვისაც ფული სრულათ არა აქვთ შემოტანილი, დაჩქარონ შემოტანა.

ჯეჯილები

საყმაწვილო ნახატებიანი

ყურნალი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!..
ი. ფ.

№ XI

წელიწადი მერვე

ტფილისი

სტამბა მ. დ. როტინიანცისა || Тип. М. Д. Ротиніанца. Гол. пр., д. № 41.

1897.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою Тифлисъ, 7-го Ноября 1897 года.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ თ ხ ო ვ ა რ ი.

(გადმოკეთებული)

ბზის პირად იჯდა მთხოვარი
სად ხალხი მიმოდიოდა;
გამვლელ და გამომვლელთანა
ფძლფერებაზე ჩიოდა.

—

დამიგდო ავადმყოფობამ
ფკურნებელმა ძნელადა,
საქმე გამიხდა სათხოვრათ
კარის კარ დასავლელადა.

—

მგზავრს შეებრალა გლახაკი
აჩვილდა გრძნობა-გულითა,
ადგა გაილო წყალობა
ფკანასკნელის ფულითა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იქნებ შენ ფფრო გიჭირდეს —
ჰკითხა მთხოვარმა — ძამია?
ვინ იცის ნამგზავრს, დალლილსა
ლუკმაც არ შეგიჭამია!

—

— აილე, კიდევ ვიშოვნი
ქვეყნიერობა დიდია;
ჯან-საღი ფძლფრისათვის
მუდამ კიბე და ხიდია.

—

ფთხრა და სამუშაოზე
მიმართა იქვე სოფელსა;
გლახა ლოცავდა გულ-წრფელად
მგზავრსა და მისსა მშობელსა.

შ. მღვიმელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქაღალდის ამბავი.

I.

ბევრები, ჩვრები! გასაყიდი ჩვრები —მონმები! გამოცვალეთ მონმები! გაისმა სოფელში გაბმული ყვირილი და გამოჩნდა ურემი, კოფოზე გადღვრენილიყო ჩასუქებული დალიალი, ურემში ეყარა სხვა-დასხვა ძველ-ძველი რაგინდარა, ბოლოზე გაჯინულიყო დიდი სკივრი და ყველა ამას ტაატით მიაგორებდა ჯაგლაგი ცხენი.

— აბა ჭე, გოგო-ბიჭებო! ჩვენი მეძონძე მოსულაო! გავარდა სოფელში ხმა და დედაბრიდან მოყოლებული გასათხოვარ ქალებამდის და მთელი გოგო-ბიჭობა თავს დაეხვა მეძონძეს, რომელთანაც იღლია-იღლია მოარბევინებდენ ათასნაირ ძონძეულობას...

მეძონძის მოსვლა ყოველთვის ასეთ შესანიშნავ შემთხვევას შეადგენდა და ფეხზე დააყენებდა ხოლმე მთელი სოფლის დედაკაცობას და წვრილ-ფეხობას.

მეწვრიმალე— მეძონძემ დაიდვა ერთ ალაგას ბინა და გააღო სკივრი. რა გინდა სულო და გულო, რომ იქიდან არ ამოჭყო თავი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა, ჩემო ბაწიავ, რა მოგცე მაგ ჩვრებში?

— ფოჩიანი კამფეტი და ბულკები არა გაქვს?

— ბულკები მაქვს, რო... რო... რო, რო!.. თაფლია რალა, თაფლის ბურები!.. აჭა!.. ეგეც შენი მეტი, რადგანაც ეოჩაღი ბიჭი სარ! — აბა, ბატარ ქალო, თქვენ რაღას ინებებთ?

— საუურები არა გაქვს?

— არა მაქვს რომელია! მტერსაც ნურა ჭქონიარა! ჩიტი რძის მეტი ეველაფერი ბევრი მაქვს!

— ბუზიკაცა გაქვს?

— ბუზიკა მაქვს, რომ სუ თავისთავათ უკრავს?

— სარკე?

— სარკე მაქვს, რომ მზეთ უნახავს გამოგაჩენს!

— ბეჭდები?

— ბეჭდები, ხო ბრილიანტისაა! იფ, იფ, ფი, ფი! ცეცხლივით არ აბდღვრიალებს თვალებსა! მოწუვეტილი ვარსკვლავია, ვარსკვლავი!..

— მაშ, აი, ეს ჩვრები და ამირჩიე კაი საუურეები, ბუზიკა, ბეჭედი, სარკე, სათითე...

— ქა, ქა, ქა, ქა!!. შე კუდრაჭავ და მაგდენი რამეები რა ამბავიაო? ახლავე მზითევს იმზადებ? მოდი, სარკეს ჯერ თავი დავანებოთ, შენ ხომ მაინც ლამაზი გოგონა სარ...

— არა, არა, სარკეც მინდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აჰაი, შე ეშმაკო, გიუვარს სარკეში კოპწიაობა, განა! აჰა, დაიჭი, რავქნა! მე მვირი ვაჭარი არა ვარ, თორემ მაგდენი რამეები კი არ გერგებოდა, აი!

— მოიცა, ე როგორი სარკეა?

— ახლა, შენ რო დაბრეცილი სახე გქონდეს, ჩემი სარკისა რა ბრალია!

— ხა, ხა, ხა, ხა! დააუარეს გულიანი სიცილი გოგო-ბიჭებმა.

— მოდე იქითა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაძღე.. აი, ეს უარანდაში და ქაღალდიც შენი ფეშქაში იუვეს, რადგანაც სწავლა გუვარებია!

— აგაშენა ღმერთმა! შენი კი ჭირიმე, დედიჯან! ე რა კარგათ ვივაჭრე! ახლა დავჯდები და ვწერავ და ვიკითხავ ვიკითხავ, და ვწერ! — სიხარულით შესძახა სანდალამ და კუნტრუშით გაექანა შინისაკენ.

— ჩვრები, ჩვრები! საპონი, ნემსი, ჯვრები, ძონძები, ძონძები! გამოცვალეთ კონკები!.. აღარავინ მოდის? მაშ მშვიდობით, ნახვამდი! — შემოსძახა მემონძემ თავისი დაუბოლოვებელი სიტყვები, დაჭკეტა უუთი, ჩაჩურთა ტომარაში მოგროვილი ფალასები და გაუდგა გზას.

— დედილო კაკა მინდა! დედიიი! კევი მიუიდეეე! კუდიანი კაფეტები მინდაააა! ღნავილით იჭაჭებოდენ აქეთ-იქით ბალღები...

— მერე, შვილო მერე, როცა მშვიდობაა გაგიცვდება და გამოიცვლი მაგ საცვლებს!..

მემონძე-დალალი ახლა სხვა სოფლისაკენ გაემართა. მას გატკბობია ეს ხელობა, რადგანაც ამ ძველ-ძულ ფალასებით ბევრი ბაჯაღლო ოქროები ჩაუჩხრიალებია ჯიბეში. წლითი-წლობამდე, რამდენსამე სოფლებში და მაზრებში — მთელ ღუბერნიაში, ასე კარი კარს სიარულით იმან ბლომათ შეაქუჩა, ეს თითქო გამოუსადეგარი, გამონაცვალი ტანისამოსი და იმითი დიდრონი ზვინები წამოდგა. აქ ჭუჭუიან, მუშა ხალხის გამონაცვალ დასტამლებში, კოხტა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მდიდარი ხალხის გამონაცვალი, სუფთა ჩვრებიც ერია: ჰერანგები, კოვთები, იუბკები, ცხვირსახოცები, ჰირსახოცები, ზეწრები, ბალიშის ჰირები, კაბები და სხვა.

— ვენაცვალე ჩვენ წილ ღმერთსა! თუმცა ჩვენი სიცოცხლე ბოსელსა და წუნწუხში გავატარეთ, თბილი წყალი და საპონი არ მიჭკარებია ჩვენ ტანსა, შრომის ოფლით ვიუავით დალტობილი, ლაფითა და ჭუჭყით გაპოხილი და ვინც ერთ დროს ჩვენით კოხტაობდა, დღეს იმათაც ქისტის კვრით სათაგვეში მიგვაგდეს, მაგრამ, მგონი ახლა კი მოგვხედა ღმერთმა ⁄ რაღაც კარგ ბედს უნდა მოველოდეთ, რომ ასე თავაზიანათ გვექცევიან და, აი, მეფისდარ დარბაზში შეგვაბძანესო! — მუსაიფობდენ ჭუჭყიანი დასტამლები თავიანთ მეზობელ დასტამლებთან:

— რაღა გვაქვს აწი მოსაწყენი, გავმხიარულდეთ, ჭია გავახაროთ! ჭერსა და ბანსაც შევატეობინოთ ჩვენი აქ ყოფნა! — წარმოთქვა ერთმა ჯუბამ, გაშალა სახელოები და დაიწყო ფრიალი, სარკმელიდან სისინით მოდენილ სიოზე. ამას აჰყვენ სხვებიც და კაი ჩინებული ბუქნა კი გამართეს! უცბათ ერთ იმათგანს მკლავი მოუხვდა იქვე მოჯმუჭნულ სუფთა კაბა-იუბკაზე.

— იქით მოგვეცა, ვიღაც ბრიუვები ჩამორეულხართ აქა! ვინა გგონიათ თქვენი ტოლი და ამხანაგი, რომ სელსაცა გვხვევთ! შორს, შორს! არ გაგვაჭუჭეიანოთ! ტუჩაბზუებით გაუქნიეს სახელოები სუფთა ჩვრებმა ჭუჭეიანებს, —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე რა ჯურა სალხში ჩაგვრია იმ უზდელმა მეძონძემ, რაში გვეკადრება ამ მურტალ სალხში ჭეოფნა ჩვენისთანა გასპეტაკებულ მვირფას ქსოვილებს? გაგვცალეთ იქით, ჭუჭეიანო სამოსლებო, თქვე ჰირუბანლებო, ზუნტლიანებო, თქვენა!

— ქა�ა, რა დიდ გულზე ბძანდებით, ქალბატონო! ქვეუანა ხო თქვენ არ დაგრჩენიათ! ახლა ხომ ერთ ბედ ქვეშა ვართ, ერთ ტაფაში ვიწვით თქვენცა და ჩვენც!. ან სულ დაღუპვა მოგველის, ან რაძე ბედნიერება და რატომ მეგობრულათ არ უნდა ვიუვნეთ?—უპასუხეს ჭუჭეიანებმა.

— უი, თქვენ ეოშებსა! უწინამც დღე დაგვლევიათ, რომ ჩვენ თქვენ ტაფაში არ დავიწვათ! ჩვენ მვირფასი ქსოვილები ვართ და ადვილათ არ გაგვიმეტებენ, თქვენ კი ან თონეში ჩაგწვავენ, ან ჩულებათ მოგიხმარებენ.

— ვნახოთ, ბატონო! ჩვენ კი გვგონია, რომ ერთი ბედი, ან უბედობა უნდა მოგველოდეს ეველასა და დრო გამოაჩენს, აღდგომა და ხვალაო!

ასე ექილიკავებოდენ და ეკინკლავებოდენ ერთმანეთს ძონძები მთელ შემოდგომა—ზამთარის განმავლობაში და მტრულათ შებღვეროდენ ერთმანეთს მეძონძის სა ეობებში.

II.

დადგა გაზაფხული, გაიხსნა გზები და ძონძებიც გაუეენეს გზას. დატვირთეს ეტლები, საცა ეტლის გზა არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იო— ცხენები, საცა არც ერთისა და არც მეორესი— ბარქასები (დიდრონი ნავები) და გაისტუმრეს იარმუკებზე. აქ მოვიდენ სხვა და სხვა ქალაქებიდან მექარხნეები და იმათი ნოქრები.

— აბა, წრეულს რა ძონძები მოგიტანიაო? ეკითხებოდა ჩვენ ნაცნობ მეძონძესაც ერთი მექარხნე და ათვალიერებდა ძონძებს ბარქასებზე.

— ეველა ჯურა გახლავთ, ბატონო: აი, ეს თეთრები, ეს ლურჯი და ფერაკებია...

— ფასი?

— თეთრები მანათი გახლავთ ფუთი, სხვები კი— ოთხ-ოთხი აბაზი.

— ჰი, ნახე! ბამბის ძველა გამოიღეთ ეურებიდან და გაიგონეთ, რომ თქვენი ტოლი არ გახლავართ! ნიშს უგებდენ თეთრი ჩვრები ფერად ჯუჯეიანებს.

— ძვირათ აფასებ, ძმობილო, შენ ხომ თითქმის მუქთათ გაქვს შეძენილი ეს ჩვრები.

— შრომა იანგარიშეთ, ბატონო, მოცდენა: მთელი წელიწადი ამათ გზაზე მოვძცდარვარ, ჩვარი ჩვარზე დამიდვია, ერთ ალაგას ხომ არ მოძიძკია, თქვე ღალოცვილო!

— მოდი, ბიძია და შუა გავეოთ შენი ფასი: ათ-ათი შაური იეკეს ფუთი ზედი-ზედ.

— ხელს არ მოიცემს, მოუმატეთ...

მექარხნემ მოუმატა ფასი და მორიგდენ. რამდენსამე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს შემდეგ მთელი ბარქასების ქარავანი გაუყენეს დიდ ქალაქებისკენ.

აი უზარ-მაზარი შენობა, რომელშიაც მოთავსებულია ქარხანა. დილა ადრიან მოისმა ქარხნიდან სასტვენლის ხმა, ამითი ეძახიან ქარხნებში მომუშავეებს. პირველ დასტვენაზე მუშები იღვიძებენ, მესამეზე — სამუშაოთ მიეჩქარებიან. აბა გავვევეთ ჩვენც ამ მუშებს და ვნახოთ რას აკეთებენ ქარხანაში.

შეხე, შეხე, ქარხნის ეზოში დიდრონ დარბაზებში რამოდენა ძონძების ზვინები დგას. აი დასაპალნებული ცხენებიც მოაყენეს, დაცალეს ძონძები და ისიც ამ ზვინებს მიუმატეს: ეს ჩვენი ნაცნობი მეძონძის ძონძებია, რომელიც ზღვის ან დიდრონი მდინარეების ნაპირებიდან აქ ცხენებით გადმოუტანიათ. ეზოში დგას ვეებერთელა სასწორი, რომელზედაც ასწონეს ეს ჩვრები.

— ახლა რათ უნდათ ეს ამოდენა ძონძები, ნეტა ვიცოდეო? იკითხავს, პატარა მკითხველი.

— ქაღალდებს აკეთებენ.

— იჰ, ქაღალდებს კი არა და! ეს ჭუჭყიანი ძონძები როგორ უნდა იქცეს ქაღალდებათ, რომელზედაც ჩვენა ვწერთ, გაზეთები და წიგნები იბეჭდებაო?!.

— მოითმინეთ და ნახავთ!

ფალასები შეიტანეს, ესრეი წოდებულ, საფალასო განყოფილებაში და დაუწყეს გადარჩევა ფერებისა და ღირსე-

ბის გვარათ. აქ მუშაობენ გადამრჩეველნი, მრღვეველნი და მჭრელნი. რადგანაც ეს საქმე იმდენ ღონეს არ თხოულობს, რამდენსაც სიმარდეს, ამისათვის ამ თანამდებობას ქალების სუსტი ხელები ასრულებენ. აი დიდი დარბაზი, ჭერამდის გამოტენილი სხვა-და-სხვა მონმებით. გადამრჩეველნი შესევიან ჩვრებს და აცალ-ცალკევებენ, სხვა-და-სხვა ქსოვილებს ერთმანეთისაგან; დიდის სიმარდით ჭექავენ მონმებს და თავიანთ ღირსებისაძებრ ჭერიან სხვა-და-სხვა ეუთებში.

— თქვენ ხელებს ვენაცვალე, ერთი ჩქარა მოგვამორეთ ამ ჰირუბანელ დასტამლების, თორემ ლამის სული შეგვიგუბდესო! ეხვეწებიან სუფთა მონმები მუშა-ქალებს. მაგრამ მუშებს ამათი ხვეწნაც არ უნდათ: თითო ფუთის გადარჩევაში იმათ ემლევათ 3 კაპ. და ადვილათ წარმოსადგენია რა სიმარდე და ბეჯითობა უნდა გამოიჩინონ რომ, რაც შეიძლება, მეტი ხელფასი აიღონ. თითო ქალი დღეში ოც ფუთ ჩვრებს გადაარჩევს. გადარჩევა იმიტომ არი საჭირო, რომ სქელი და ხმელი მონმებისაგან გამოჭეავთ მაქრისა და სხვა რამის სასვეეი ქაღალდები ⅞ კარდონები, ხოლო წმინდა და რბილი მონმებისაგან — სუფთა საწერი ქაღალდები.

გადამრჩეველების ხელიდან მონმები მრღვეველთა ხელებში გადავიდენ. ესენი არღვევენ ნაკერავებს და აშორებენ ღილებს, დუგმებს და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უი, ქა და ვაგლახ მე! ნეტავი მომკლა და ადარა მქნა ცოცხალი! რას გვემართლებით, ადამიანებო, რათ გვაცლით მარღვებს, საკერავი მაშინით გავლილ გვირისტებს! ოჰ! ოჰ! მარღვების სისუსტე მომდის, ნერვები მეშლება! მიშველეთ, ექიმი, ჩქარა ექიმი!.. ვაიმე! ახლა კ'ილებსა გვგლეჯენ, თვალებს გვჩიჩქნიან; დუგმებსა და ღილებს გვაცლიან! ვინ ხარ» ქრისტიანები! ჭკვნესიან, ოხრავენ ერთ დროს მოდაზე ხელოვნურათ ნაკერი და მორთული ბონმები, მაგრამ ვინ არის შემბრალებელი და გამკითხავი? ამ საქმისათვის ემლევათ ფუთზე 2—3 შაურამდე და ქალებიც ცდილობენ მარჯვეთ მოიქცენ, რომ დღეში 8 ფუთი მაინც დაარღვიონ, და ოთხი აბაზი, მანათი აიღონ!..

ფალასები შემდეგ მჭრელების შეუბრალებელ ხელში გადადიან. უშველებელ ოთახში ჩარიგებულია ჰატარ-ჰატარა მაგიდები. თითოეულ მაგიდას შუაგულს დამაგრებულია, ალმაცერათ და ჰირ აღმა, ცულის მსგავსი დიდი დანა. მჭრელი მიუდგომია მაგიდას, აიღებს ორივ ხელებით ჩვრებს, სდებს დანის ჰირზე და უსვამს ზევით-ქვევით, სანამ ჩვარი არ გაიჭრება; მკლავები ამ დროს ისე მოძრაობენ, როგორც ხერხვის დროს. რადგანაც ბონმები დიდრონებია და მთელ-მთელი არ გამოდგება მანქანისათვის, ამიტომაც ანაკუწებენ იმათ. დანები საშართებელივით გალესილია და

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა დაჩლუნგდება, თვითონ ქალები ლესავენ. აქ მოძუ-შავე ქალთა რიცხვი 300-მდეა.

ძონძები, დაჭრილ დაფლეთილები, გულ შეღონებულები ჭერიან აქა-იქა, ძაღლი პატრონს ვეღარა ცნობს, ისე არე-ულები არიან ერთმანეთში. ეველანი გულში ლოცულობენ. „ღმერთო, უარესისაგან დაგვისსენიო“! ძაგრამ ჯერ რა დროს ხსნაა!

თეოფ. კანდელაკი.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა ლორდის თავ-გადასავალი.

ობსი ამ დღიდან დაწყებული ხშირათ ხედავდა დიკს და უწინდელსავით უბედურათ აღარ გრძნობდა თავს. ისინი ერთათ კითხულობდენ გაზეთებს, რომ ლებიდანაც ბევრ სხვა-და-სხვა ამბებს გებულობდენ ინგლისის დიდკაცობაზე, ძალიან გაუკვირდებოდათ ლორდებს და მარკიზებს, რომ გაეგოთ, რამდენ რამეს აბრალებენ მათ ამერიკელები! მისტერ გობსი სხვა-და სხვა წიგნებსაც კი ყიდულობდა, სადაც კი ინგლისის დიდკაცობაზე ეწერა რამე და ყველა ამ წიგნებს დიკი ეკითხავდა ხმა მაღლა. ამ წიგნებში აწერილი იყო, რა სასჯელებს, რა წამებებს ხმარობდენ ხოლმე უწინდელ დროში ინგლისში. გობსი საშინლათ დაღონდა და სულ ცედრიკის ჯავრი აწუხებდა, ამისთანა ქვეყანაში როგორ ცხოვრებს პატარა, უმანკო ბავშვი, მხოლოთ მაშინ დამშვიდდა, როცა ცედრიკის წერილი მოუვიდა. წერილი ორივე მეგობარმა ერთათ წაიკითხეს და მას აქეთ ყველა წერილებს, დიკთან იყო ის მოწერილი თუ გობსთან, ერთათ კითხულობდენ და მთელი დღეობით საუბრობდენ მათზე. კიდევ მეტს საუბრობდენ, როცა პასუხის მიწერას დააპირებდენ; მთელი კვირაობით ამზადებდენ თავის წერილებს და რამდენჯერმე წაუკითხავდენ ხოლმე ერთმანეთს.

დიკისთვის დიდი ჯაფა იყო წერილის დაწერა; წერა-კითხვა ცოტათი იცოდა, ისიც მარტო მაშინ ესწავლა, როცა თავის უფროს ძმა, ბენთან, ცხოვრებდა; მაგიერათ დიკი ნიჭიერი ბავშვი იყო და გობსის დახმარებით მალე შეისწავლა საკმაოთ კარგი წერაც და კითხვაც, მალე გაზეთების კითხვასაც კი მიჰყო ხელი. დიკი ხშირათ

უამბობდა ხოლმე გობსს თავის თავგადასავალს; სანამდის დიკი არ წამოიზარდა, სულ უფროს ძმასთან ცხოვრებდა, რომელიც ნამდვილ მეორე დედობას უწევდა უნცროს ძმას.

— ისეთი ბედნიერათ ვცხოვრებდით, სანამდის ბენმა ცოლი არ შეირთო! ეუბნებოდა დიკი თავის მეგობარს.—მერე კი სულ სხვანაირათ წავიდა საქმე. ბენის ცოლი ძალიან ლამაზი იყო, მაგრამ ავგული და კაპასი. ბავშიც საძაგელი ჰყავდა, დილიდან საღამომდის ტირილის მეტს არაფერს აკეთებდა; როგორც აყვირდებოდა, იმწამსვე თუ ხელში არ ავიყვანდი, რაც კი მოხვდებოდა ჩემ რძალს, თავში მესროდა. ერთხელ საინი მესროლა, თავის შვილს მოახვედრა და სულ გაუხეთქა ნიკაპი, ექიმმა თქვა, მთელ სიცოცხლეში დარჩება ეგ ნიშანიო.

— შვენიერი დედა იყო, რაღა თქმა უნდა! ბენს იმაზე ეჩხუბებოდა, ცოტა ფულს რათ შოულობო. ერთხელ, როცა ბენი გვიან დაბრუნდა სახლში, კარები დაკეტილი დახვდა და სახლი დაცარიელებული; მოსამსახურემ უთხრა ბენს, მინნამ რაღაც ადგილი იშოვნა და ბავშიანა წავიდაო. მას აქეთ არც მე და არც ჩემ ძმას აღარა გაგვიგონია რა მინნაზე. ბენის ადგილას რომ ვყოფილიყავი, ღმერთს მადლობას გადავუხდიდი; ბენი კი წუხდა, სულ იმაზე ჰფიქრობდა. ლამაზი კი მართლა ძალიან იყო! დიდი, შავი თვალები ჰქონდა, და მუხლებამდის სქელი თმა; ერთ სხვილ ნაწნავათ დაიწნავდა ხოლმე და რამდენჯერმე შემოიხვევდა თავზე.

— ბენი კი მერე კალიფორნიაში წავიდა,—გაათავებდა ხოლმე დიკი,—იქიდან ორჯელ მომწერა წერილი.

— სულაც არ უნდა შეერთო ცოლი!—შენიშნა გობსმა. ამ სიტყვებით ადგა და გაიარ გამოიარა; ამ დროს მაგიდაზე წერილი დაინახა და საჩქაროთ აიღო ხელში.

— როგორ ვერ შევნიშნე აქამდის? —წამოიძახა მან.—უთუოთ მაშინ მოიტანეს, როცა მე სახლში არ ვიყავ და რომე ნაირათ გაზეთის ქვეშ მოჰყვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედუქნემ ყურადღებით დაათვალიერა წერილი.

— იმისაგან არის!—სიხარულით წაილაპარაკა გობსმა.—ცედრიკისაგან არის!

გობსი დაჯდა, ფრთხილათ გახსნა წერილი და შემდეგი წაიკითხა:

სასახლე დორინკორტი.

ძვირფასო მისტერ გობს! ერთი მოულოდნელი ამბავი უნდა შეგატყობინოთ, უთუოთ, ძალიან გაგიკვირდებათ. შეცდომა იყო, მე ლორდი არა ვარ და არც გრაფი ვიქნები. ბიძა ჩემ, ბევისს, ცოლი და პატარა შვილი ჰყოლია, ის ბავშია ნამდვილი ლორდ ფაუნტელროი, მე კი არა. ინგლისელი კანონი ასეთია; უფროსი შვილის შვილმა უნდა მიიღოს ყველაფერი. მე მეგონა, ჩემი ცხენიც უნდა მიმეცა იმ ბავშისთვის, მაგრამ ბაბუამ მითხრა, არაო. ბაბუა ძალიან შეწუხებულია, სულ არ მოსწონს ბიძია ბევისის ცოლი. ბაბუას ჰგონია, რომ მე და, ძვირფასს, ძალიან გვწყენს, მე რომ გრაფი არ გავხდები; მართალია, გრაფობა მესიამოვნებოდა, რადგანაც სასახლე შვენიერია და ყველა აქაურებიც ძალიან შემიყვარდა. როცა ადამიანი გრაფია და მდიდარია, შეუძლია ბევრი სარგებლობა მოუტანოს სხვებს. ახლა მე მდიდარი აღარა ვარ, მუშაობა უნდა ვისწავლო, რომ, როცა გავიზდები, თავი დავირჩინო. ჩვენ მეჯინიბეს შევეხვეწე ცხენების წმენდა მასწავლეთქო, შეიძლება ან მეჯინიბე და ან მეეტლე გამოვიდე. ბიძიას ცოლმა მოიყვანა სასახლეში თავისი შვილი; ბაბუა და მისტერ ხვეიშამი ელაპარაკებოდენ, ბაბუა ძალიან ჯავროობდა, ისე გაჯავრებული არაოდეს არ მინახავს, ძალიან მეცოდება. დავაჩქარე წერილის მოწერა, რადგანაც მინდა, ახლავე შეიტყოთ, რომ მე ისევ თქვენი ძველი მეგობარი ცედრიკ ერროლი ვარ და

არა ლორდ ფაუნტელროი.

მისტერ გობსს წერილი ხელიდან გაეარდა.

— ვაი შენ ჩემო თავო!—წამოიძახა მან.

— რა ცვლილებაა ცედრიკის ცხოვრებაში!— თქვა დიკმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ცვლილება! ეს სულ ინგლისელი დიდკაცებისაგან არის მოგონილი, უნდათ გაცარცვონ ამერიკელი ბავშვი. ხომ ვამბობდი, როგორ იცხოვრებს საწყალი ცედრიკი ინგლისში, ჩაამწარებენ იქ ყოფნას-თქო... ვიცნობდი, კარგათ ვიცნობდი იმათ, რა კაცებიც იყვენ!

გობსი ძალიან აღელვებული იყო; მას თავიდანვე არ მოსწონდა თავის პატარა მეგობრის ცხოვრებაში მომხდარი ცვლილება; ძლიეს შეეთვისა როგორც იქნა იმ აზრს, ცედრიკი ლორდი არისო, ამაყობა დაიწყო, რა ბედნიერება მოუვიდა პატარა ბავშსო და ახლა კი ამ წერილმა ისევ აურ-დაურია აზრები. ინგლისელ დიდ კაცებს მაღლა არ აყენებდა, მაგრამ ფულის ძალა კარგათ იცოდა და არაფრათ ეჭაშნიკა მის მეგობარს რომ იმხელა სიმდიდრე ხელიდან ეცლებოდა.

— უნდათ გაცარცვონ, მისი გაცარცვა უნდათ! — იმეორებდა ის. — ცუდი არ იქნებოდა, მის დასაფარავათ წაესულიყავი ინგლისში!

დიდ ხანს არ გაუშვა იმ დღეს სახლში დიკი, მერე კი ნახევარ გზამდის გააცილა, და როცა უკან ბრუნდებოდა, დიდ ხანს იდგა თავის პატარა მეგობარ, ცედრიკის, სახლის წინ და დაფიქრებით მისჩერებოდა იქ გამოფენილ ქაღალდზე დაწერილ სიტყვებს „ეს სახლი ქირავდებაო“.

XII.

ორი რძალი.

პატიჟობას შემდეგ არ გაუვლია რამდენსამე დღეს და მთელმა ინგლისმა იცოდა ყველაფერი, რაც კი დორინკორტში მოხდა. ყველას ჰსურდა გაეგო, რითი გათავდებოდა ეს საქმე, ამბობდენ, გრაფი ძალიან უკმაყოფილოა და კანონების ძალით მოქმედებას აპირებსო. დორინკორტის ახლო-მახლო სოფლებშიაც დიდი არეულობა იყო; გლეხები ჯგუფ-ჯგუფათ იკრიბებოდენ და სულ ამ შემთხვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაზე ლაპარაკობდენ; ერთი მეორეს უამბობდენ, გრაფი საშინელი გაჯავრებულია და არ უნდა თავის მემკვიდრეთ იცნოს ახალი ლორდ ფაუნტელროი. ყველაზე მეტს მოხუცი ვაჭარი ქალის დუქანში ლაპარაკობდენ.

— ღმერთმა დასაჯა ჩვენი გრაფი!—ქადაგებდა თვით ვაჭარი ქალი.—აგრე მოუხდება, რა დაუშავა მისმა რძალმა, კაპიტან ეროლის ცოლმა, ისე ცუდათ რომ ექცევოდა და ისეთი შვენიერი შვილი დააშორა? ეს ახალი რძალი კი სულ არ ჰგავს თურმე ნამდვილ ქალბატონს, მსახური ტომასი ამბობდა, თუ სასახლეში ის გაბატონდა, ერთი ჩვენგანიც არ დარჩება მასთანო. იმისი მოთრეული ბავშიც არა გავს ჩვენ ანგელოზ პატარა ლორდს! ნეტავი ეიცოდე რითი გათავდება ეს აყალ-მაყალი!

სასახლეშიაც ჩვეულებრივი სიწყნარე არ იყო; წიგნთ საცავ ოთახში გრაფს და მისტერ ხევიშამს დიდი სჯა ჰქონდათ, მსახურები თავის ოთახში საუბრობდენ, ფოგოები თავისაში კრიახობდენ და პირჯვარს იწერდენ, მეჯინიბეები და მეეტლეები თავლაში იკრიბებოდენ და ყველა პატარა ლორდს იცოდებდა. მხოლოთ ცედრიკი იყო უწინდელივით უზრუნველი და მხიარული; როცა მას აუხსნეს ყველაფერი, გაუკვირდა და ეწყინა, მაგრამ სიმდიდრის დაკარგვას კი არ შეუწუხებია.

ის ჩვეულებრივათ იჯდა ბაბუას გვერდით, თავის მაღალ სკამზე და დინჯათ უგდებდა მის სიტყვებს ყურს.

— რა საკვირველებაა!—თქვა ბოლოს ბავშმა.—რა საკვირველებაა!

გრაფი ჩუმათ მისჩერებოდა შვილიშვილს, იმასაც ყველა ეს საკვირველებათ ეჩვენებოდა; ბავშის სახის „მწუხარე გამომეტყველებამ იმწამსვე მიიქცია მისი ყურადღება.

— „ძვირფასს“ მის ეტლს და ცხენს წაართმევენ?—ჰკითხა ცედრიკმა და ბაბუას მიაპყრო თვალები.

— არა!—გადაწყვეტით თქვა ხმა მაღლა გრაფმა.—ისინი ვერაფერს ვერ წაართმევენ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა მიხარია!—წამოიძახა ბავშმა და დამშვიდდა. მერე შეხედა ბაბუას მოსიყვარულე, ცრემლით სავსე თვალებით და აკანკალებული ხმით ჰკითხა:

— ბავში? მეორე ბავში? ახლა ის იქნება თქვენი შვილიშვილი, ის დაიჭერს ჩემ ადგილს?



ეროვნული ბიბლიოთეკა

— არასოდეს! — ისეთი სასსტიკათ წამოიძახა გრაფმა, რომ ცედრიკი შეხტა.

— არასოდეს? -- გაკვირვებით გაიმეორა ბავშმა. — რატომ? მე კი მეგონა... პატარა ლორდი სკამიდან წამოხტა და გრაფს მიუახლოვდა.

— ბაბუა, მითხარ-თ, ხომ მაინც თქვენთან დავრჩები, ლორდი რომ არ ვიყო, მაშინაც? ხომ ისევ თქვენთან ვიცხოვრებ? — ამ სიტყვებზე ბავშს სახე მთლათ აუწითლდა.

— შენ ჩემი ხარ და ყოველთვის ჩემი იქნები, სანამ მე ცოცხალი ვარ! — მოხუც გრაფსაც აუკანკალდა ხმა.

— ღმერთია მოწამე, ისე მეჩვენება, რომ შენს მეტი შვილი ჩემ სიცოცხლეში არ მყოლია!..

ცედრიკი მთლათ აინთო სიხარულისაგან. მან ჩაიწყო ხელები ჯიბეებში, შეაჩერდა ბაბუას პირდაპირ თვალებში და თქვა:

— თუ ასეა, ჩემთვის სულ ერთია, ვიქნები გრაფი თუ არა. მე მეგონა, ის ბავში ჩემ ადგილს დაიკავებდა... თქვენი შვილიშვილი ის იქნებოდა, მე კი არა... და ეს მწყენდა.

გრაფმა ხელი მხარზე დაადვა და ახლო მიიწია:

— ისინი ვერ წაგართმევენ იმას, რაც მე შემიძლია შენ მოგცე და დაგიტოვო. — მკაცრათ თქვა მან. — მაგრამ არც ის მჯერა, რომ მამა-პაპეული რამე წაგართვან. ეს კი გახსოვდეს, რაც უნდა მოხდეს, ყველა ის, რაც მამის დატოვებული არა მაქვს, რაც საკუთრათ მე მეკუთვნის, შენი იქნება!

გრაფს თითქო დაავიწყდა, რომ ბავშს ელაპარაკებოდა, მას ეგონა, ჩემ თავს ველაპარაკებიო. მარტო ახლა გაიგო, ახლა შეიგნო, რამდენათ შეჰყვარებოდა შვილიშვილი და რამდენ იმედებს ამყარებდა მაზე. მას არ უნდოდა, დაეთმო ახლათ გამოჩენილ ლორდისათვის და საბრძოლველათ ემზადებოდა.

რამდენსამე დღეს შემდეგ ახალი ლორდ ფაუნტელროის დედა მოვიდა სასახლეში და თავის შვილიც თან მოიყვანა, მაგრამ გრაფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა არ მიიღო; მსახურმა გადასცა: გრაფს თქვენი ნახვა არ ჰსურს და ხეიშამს მიჰმართეთ, თუ რამე საქმე გაქვსთო.

— მთელი ჩემი სიცოცხლე დიდკაცების სახლებში მიმსახურნია!—ამბობდა მის წასვლას შემდეგ ტომასი.—ეიცი ნამდვილი ქალბატონების ცნობა. დარწმუნებული ვარ, ეგ ქალი არასოდეს არ ყოფილა ლორდის ცოლი!

ქალი წავიდა და ეტყობოდა, ძალიან გაბრაზებული იყო, თუმცა მისი სახე შიშსაც გამოჰხატავდა. ხეიშამი როცა ელაპარაკებოდა, შენიშნა, რომ ქალს ეშინოდა თავის მდგომარეობისა, რადგანაც გაეგო, გრაფი ჩემი ძალიან წინააღმდეგიაო.

ხეიშამმა დაარწმუნა გრაფი, აუცილებელი საჭიროა თქვენ თითონ ნახოთ თქვენი ახალი რძალიო. გრაფი სასტუმროში წავიდა; შევიდა თუ არა, ქალს მაშინვე ფერი ეცვალა, დაიწყო გინება და ლანძღვა, ჰყვიროდა: კანონით ყოველივე, რაც თქვენ გაქვსთ, ჩემ შვილს ეკუთვნისო და თან ემუქრებოდა, ნუ მეწინააღმდეგებით, არაფერი გაგიეთო.

გრაფი მედიდურათ იდგა მის წინ და ზიზღით მისჩერებოდა პირდაპირ სახეში; მან მისცა ნება გაბრაზებულ ქალს წარმოეთქვა ყველაფერი, რაც კი სათქმელი ჰქონდა, და მხოლოთ მაშინ, როდესაც ქალი შეჩერდა, თავდაკავებით უთხრა:

—თუ მართლა თქვენ ჩემი შვილი, ბეისის ცოლი ხართ, მაშინ კანონი თქვენ მხარეს არის და თქვენი შვილი ლორდ ფაუნტელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როია. სამსჯავროო გაარჩევს ყველა ამას. თუ არ ტყუით—ყოველ თვე მიიღებთ ფულს, იმდენს, რომ შესაფერათ იცხოვროთ, მაგრამ, სანამ მე ცოცხალი ვარ, არ მინდა თვალით დაგინახოთ არც თქვენ და არც თქვენი შვილი; ჩემ სიკვდილს შემდეგ კი მამა-პაპეული, საუბედუროთ, თქვენ გადმოგეცემათ. სხვას მაინც არას მოველოდი ჩემი შვილი ბევისისაგან, დარწმუნებული ვიყავი, თქვენისთანა ქალს შეირთავდა!

გრაფმა ზურგი შეაქცია გაშტერებულ ქალს და ოთახიდან გავიდა.

გაიარა რამდენიმე დღემ. ქალბატონი ეროლი თავის ოთახში იჯდა და რაცალას წერდა. ამ დროს შამოვარდა შეშინებული გოგო და შეატყობინა, თვითონ გრაფი მოვიდაო. ახალგაზდა ქალი სასტუმრო ოთახში გავიდა; იქ, მაღალი და კარგათ მოსული, მოხუცი კაცი იდგა, რომელსაც გძელი გაჭაღრებული ულვაშები ბ არწივისებური ცხვირი ჰქონდა.

— თქვენა ხართ ეროლის ცოლი? — ჰკითხა მან.

— დიახ!

— მე გრაფ დორინკორტი ვარ.

გრაფი გაჩუმდა და ყურადღებით აჩერდებოდა ახალგაზდა ქალს კეთილ, უმანკო თვალებში, რომლებიც ისე ჰგავდენ საყვარელ ბავშის თვალებს.

— ბავში ძალიან გგავსთ! — სასტიკათ თქვა მან.

— ხშირათ მეუბნებიან ხოლმე მაგას! — მიუგო ახალგაზდა დედამ. — მაგრამ მე ძალიან მიხარია, რომ მამასაც ჰგავს.

მისი ხმა მართლა ვერცხლის ზარსავით წკრიალობდა, როგორც ქალბატონმა ლორიდეილმა თქვა.

— მართალია! — დაიწყო ისევ გრაფმა და ულვაშები ჩამოიწია. ჩემ შვილსაცა ჰგავს... იცით, რაზე მოვედი?

— მისტერ ხეეიშამი ვნახე. — მიუგო ქალმა. — მან მითხრა...

— მე მისთვის მოვედი, რომ გამოგიცხადოთ, ყველაფერ სა-

შუალებას ვიხმარებთ, კანონის ძალით უნდა დავიფაროთ ჩვენი ბავშის უფლება...

ქალმა შეაწყვეტინა თავის სასიამოვნო ხმით:

— კანონმაც რომ მაგის მხარე დაიჭიროს, ჩემმა ცედრიკმა არაფერი არ უნდა მიიღოს, რაზედაც უფლება არა აქვს.

— საუბედურო ოთ აქ კანონს ძალა არა აქვს,—მიუგო გრაფმა. ის საძაგელი ქალი და მისი შვილი...

— იქნება იმ ქალსაც ისე უყვარს თავისი შვილი, როგორც მე ცედრიკი.—შეაწყვეტინა ისევ ახალგაზდა ქერიემ.—თუ თქვენი უფროსი შვილის ცოლია, მისი შვილი და არა ჩემი უნდა გახდეს ლორდ ფაუნტელროი...

ქალს არ ეშინოდა გრაფისა, პირდაპირ და უშიშრათ უყურებდა მას, როგორც ცედრიკი, ეს საშინლათ მოსწონდა მოხუც მებატონეს, რომელიც სხვების შიშს და კრძალვას იყო მიჩვეული თავის წინაშე.

— მე მგონია, ის კიდეც გირჩევნიათ, რომ არაოდეს არ გახდეს გრაფ დორინკორტათ!—დაცინვით შენიშნა მან.

ქალი გაწითლდა.

— ძალიან საპატიოა გრაფ დორინკორტობა!—უპასუხა მან. —მაგრამ ყველაზე უფრო მე ის მინდა, რომ ჩემი ბავში ისეთი კეთილი, პატიოსანი და მართალი კაცი გამოვიდეს, როგორიც მამა მისი იყო.

— და არა ისეთი, როგორიც ბაბუა მისი არის?

— მე ვერ გიცნობთ თქვენ კარგათ!—მიუგო ქალბატონმა ეროლმა.—მე მხოლოთ ვიცი, რომ ჩემ შვილს ჰგონია... ის უცებ შეჩერდა, პირდაპირ შეხედა თვალებში გრაფს და დაათავა:—მე ვიცი, რომ ცედრიკს უყვარხართ.

— როგორ გგონიათ, ვეყვარებოდი, რომ გაეგო, რატომ არ მიგიღეთ სასახლეში?

— მე მგონია, რომ არა! მიუგო ახალგაზდა დედამ.—იმიტომაც დაეუმალე მიზეზი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

-- საქებია! — ყრუთ წამოისროლა გრაფმა.—ყველა ქალი თქვენსავით არ მოიქცეოდა.

და მან ოთახში წინ და უკან სიარული დაიწყო, თანაც ულვაშებზე მოუთმენლათ ხელს ისვამდა.

— მართალია, ვუყვარვარ ცედრიკს!—ცოტა ხანს იქეთ დაიწყო მან,—მეც მიყვარს. აქამდის არავინ არ მყვარებია, ის კი მიყვარს, პირველ დანახვაზედვე შემიყვარდა. მე მოვხუცდი, ცხოვრება მომეწყინა, მან კი მთლათ ერთიანათ გამომაცოცხლა, მე ვამაყობ მითი, სულ იმის ფიქრში ვიყავი, რომ ღირსეულათ დაიჭერდა ერთ დროს ჩემ ადგილს...

უეცრათ გრაფი ახალგაზდა ქალის წინ შეჩერდა:

— მე უბედური ვარ, ძალიან უბედური!

ხმა აუკანკალდა, თვალებში ცრემლები მოერია, სადღა იყო მისი სიამაყე, მისი მედიდურება!

— იმიტომ მოვედი თქვენთან, რომ ასე უბედური ვარ. მე მძულდით თქვენ, ეიჭვიანობდი თქვენზე, ახლა კი ყველაფერი შეიცვალა; იმ ქალის ნახვის შემდეგ მე თქვენში ვეძებ ნუგეშს, მე სულელი ბებერი ვარ, მე დანაშაული ვარ თქვენ წინაშე... თქვენ ძალიან გვეხართ ბავშს, რომელიც ჩემი პირველი და ერთათ ერთი სიხარული და იმედია... მისი გულისთვის მეც ნუ გამაგდებთ, გულკეთილობა გამოიჩინეთ...

მოხუცი, ეტყობოდა, ნახევრათ მკვდარი იყო მწუხარებისაგან, ქალბატონ ეროლს გულით შეეცოდა, მიუწია სავარძელი და ტკბილათ უთხრა:

— დაბძანდით, გრაფ, გეტყობათ ძალიან დაღალული და დაუძლურებული ხართ!

ამისთანა ყურადღებამ გრაფი გააკვირვა. მას გაახსენდა შვილიშვილი და დაჯდა; ქალის სასიამოვნო ხმამ, მისმა შესაფერმა და მიმზიდველმა ყოფაქცევამ მომხიბლავათ იმოქმედეს მაზე; ის ცოტა დამშვიდდა და ლაპარაკი გააბა თავის რძალთან.

— რაც უნდა მოხდეს,—თქვა მან ბოლოს,—ბავშს არა გაუჭირდება რა არც ახლა და არც მომავალში.

წასვლის წინ გრაფმა ოთახი დაათვალიერა.

— კმაყოფილი ხართ სახლით?—ჰკითხა მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ძალიან!—მიუგო ქალმა.

— ძალიან კარგათ მოგიწყვიათ ეს ოთახი. ნებას მომცემთ, ხანდა-ხან გესტუმროთ ხოლმე ამ საქმეზე მოსალაპარაკებლათ?

— როდესაც გნებავთ და რამდენი ხნითაც გნებავსთ!—უპასუხა რძალმა.

გრაფის მეეტლე და მსახური ძალიან გაკვირვებული იყვენ, რა სხვანაირათ დატრიალდა ეს საქმეო.

ე—კო.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიანჭველა.

რთხელ ჭინჭველამ მთელი ზამთარი
ხის ფულურობში ძილით ატარა,
ძალზე სიცივემ მას მოუჭირა —
მკვდარს დაამსგავსა ჩვენი პატარა.

—

მაგრამ ბუნება მალე იცვალა,
მზემ თვისი სხივი ქვეყნათ მოჰფინა;
ტყე და მინდორი მან გაამწვანა
და არე-მარე გამოაფხიზლა.

—

გათბა ჭინჭველა, გამოელვიძა,
ფიცხლავ დატოვა თავისი ბინა;
მზეს მიეგება დაუყოვნებლივ,
შტოებზე მარდათ მან გაირბინა.

—

მაგრამ შეხედეთ ჭინჭველას ბედსა,
(რაც რომ აკლია ზოგიერთ ბევრსა);
ფრთა მას შესხმია ზამთრისა ძილში,
ამპარტავანობს თავის ტოლებში:

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფრინდა მაღლა, ზეით ჰაერში
და გაერია ის ფრინველებში,
დაჰქრის მარდათა, გულადათ მარტო
თვალ უწვდენელსა ტყე და მინდორში.

—

ბოლოს დროს ჩვენსა ამპარტავანსა,
ბედი უკუღმა დაუტრიალდა:
თავის სიცელქით, ამპარტავნობით
ობობას ქსელსა იგი წააწყდა.

მაუშალია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი ოგოლი: ედიშერა და გიშერა.

I.

ერთი ობოლ-ობერი ბიჭი იყო ედიშერა, ყველასაგან დავიწყებული, ბედისაგან დაჩაგრული და, რასაკვირველია, არავინ დანატრებს იმას, სათამაშოები, „კაკაები“, გულის სწორი ამხანაგები, ბავშური აღტაცება-სიხარული, ტკბილი ალერსი, სიყვარული და მოფერება — მარტო სიზმრათ თუ მოეჩვენებოდა საწყალს, ისიც ხან-და-ხან, ხილათ!.. ედის სსოვნა სრულიათ არა ჰქონდა, მაგრამ სამაგიეროთ მამა ძალიან კარგათ ახსოვდა. ოთხი წლისა ძლივს იქნებოდა მაშინ, როცა მამა უკანასკნელათ ნახა, მაგრამ იმისი სახე ცხოვლათ აღიბეჭდა მის ნორჩ გონებაში! მას ახსოვდა, რომ ერთხელ მამა მისი საიდანღაც ღვინით გალექილი მობარბაცდა სახლში, თავჩაქინდრული ჩამოჯდა ტახტზე, რაღაცას ბურტყუნებდა და თითქო ჯიღასაც ემუქრებოდა!. შვილი გაექანა, ყელზე მოექნა თავის „მამილოს“, წვერ-ულვაშში სტაცა ჰაწაწინა თათები და უნდოდა ტკბილათ ეკო-

ცნა: იმას თავის „დედილო“ს ჯიგარიც, „მამილოზე“ დაეუარა და ახლა გული უნდა მოეოხებინა იმასთან ალერსით.—„მამი!, ჩემო მამილო!.. ხმა გამე, შენ გენაცვალე, თორემ ახლავე ვიტირებ!—ეტიტინებოდა შვილი მამას.

—იქით მომეცა, შე გველის წიწილო, შეღრიალა მამამ ბოხის ხმით.—მაგრამ შვილი არ შორდებოდა მამას და გულშიაც უჰირებდა ხელის მოცაცუნებას, როგორც დედის ძუძუებთან ჭქონდა დაჩვეული,—რომ ამ დროს მამამ ტლანქი ხელები სატეეველასავით დაუშინა ნაზ სხეულზე!.. ედიშერამ გულ-ამოსკვნილი ტირილი მორთო; მამამ კომბალს წამოავლო ხელი და ბარბაცით კარზე გამოვიდა!.. ეს იეო და ეს! შვილს მამის სახე აღარ უხილავს და იმისი ასავალ დასავალი აღარა იცოდა რა, გარდა იმისა, რაც შემდეგში არ შეიტეო, რომ მამა მისი ქურდობისათვის ციხეში მომკვდარიეო!..

დარჩა ედიშერა ღვთისა და დეიდას ანაბარა. დეიდამაც ნება-უნებურათ იკისრა მასზე მზრუნველობა, წაიეანა სხვა სოფელში და თავისას აცხოვრებდა ობოლს. მაგრამ ვაი, იმისთანა ცხოვრებას! დეიდას ის არ უეეარდა და თუ ეურს უგდებდა, ისე, თავის სულის გულისათვის. თვითონაც თავი გაჭირვებოდა დეიდას და რაღა სხვის შენახვისა და ლოლიაობის თავი ჭქონდა, მაგრამ მაშ რა ექნა? რიეეზე ხომ ვერ გადააგდებდა კატის კნუტივით!

ედიშერას დეიდა, როგორც ღარიბი დედაკაცი, ვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰურს უცხობდა, ვის სარეცხს ურეცხდა, ვის მარგვლაში ან რთველში შველოდა და ასე გამოდიოდა დღითი-დღე. ლხინი არ გაჩნდებოდა და ჭირი არ ჩაივლიდა ისე რომელიმე ოჯახში, რომ „დეიდა“ იმათთან არ ეოფილიეო. ამასთან ბებიაობაც იცოდა, და, აბა, ამდენი სელობის ბატრონი თავის სახლისთვის სადღა მოიცლიდა! ის სტუმარი იეო თავის სახლისა და ერთ ი ავათ სულ მრევლში დალაჯუნობდა!. ეგდო ბავში მარტოთ-მარტო ოთხ კედელ შუა! ზაფხულობით კიდევ არაფერი: მეზობლის ბიჭებთან დარბოდა დილიდან საღამომდი, მაგრამ ზამთრობით იეო მისი გაჭირვება!. ფეხშიშველა და თავშიშველა გამოვარდებოდა თოვლში, მიიცუნცულ-მოიცუნცულებდა აქეთ-იქით და ხელ-ფეს დამძრალი, სახე გაჭარხლებული შევარდებოდა ისევ თავის ბუნაგში; მიუჯდებოდა ჩინჩხვრით საცოდავათ მბჟუტავ ბუხარს და იხუხებოდა ჰურის კუტიკით.. თუ ვინმე სულის გულისათვის სველ საჭმელს მიაწოდებდა, აღებაღამე იეო ობლისათვის, თუ არა და — ხუხნიდა დაობებულ გამხმარ ჭად-ჰურას.

საღამოზე მოვიდოდა დაღალულ-დაწუვეტილი დეიდა, დანაურდებოდა, დაანაურებდა თავის დისწულს და რაც მთელი დღის, ან კვირის განმავლობაში რაიმე უსიამოვნობა შემოხვეოდა, სულ იმაზე ამოიურიდა ჯავრს!.. გულ ჩათუთქული ობოლი აიბუზებოდა, ზღარბივით მოიკუმშებოდა, სახე მოეღრუბლებოდა და ოთხ ტოტათ წასკდებოდა ცრემლის ნაკადული...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ყველაფერს შეჩვევა ცოდნია და დეიდას ჭექა-ქუხილსა და ცემა-ტეტვასაც შეეჩვია ბავში: იმისი ჯავრობა, გინება და წყევლა ახლა ნანასავით შესდიოდა ყურებში და ცემა —თავზე ხელის დასმათ მიაჩნდა.

ესენი ყველაფერი მოინელა ბავშმა, ყველა ამას შეეთვისა, მაგრამ მარტოობას ვერ შეეჩვია.

ბუნებით მკვირცხლს და მხიარულ ბიჭს სიცოცხლე წყურდა! მაგრამ სად იყო მისთვის ამეოლი, ამხანაგი, ტოლი, მეგობარი!. მეზობლის ბიჭები ხშირათ აბრაზებდენ და გულსაკლავი დაცინვით ეოველსავე სიამოვნებას უშხამავდენ!..

ნეტავი ედიშერა რა შუაშია, რა დანაშაულია, თუ იმისი მამა ქურდი იყო!? უმეცარი ბიჭები ამას არა ფიქრობენ: ზოგი „სათოკეს“ უმახდა, „საცემბირეს“, ზოგი „მოთრეულს“, ზოგი „უპატრონოს“, „მათხოვარს“.

სანამ ის პატარა იყო, არაფერათ აგდებდა ამ სახელებს; მაგრამ რაც სანი მიდიოდა ჭკუა-გონებაში ვარდებოდა და ამ სიტყვების მნიშვნელობას უკვირდებოდა; ნორჩი გული უკვდებოდა და უანგარიშოთ ცხარე ცრემლითა ტიროდა ჩუმათ, მარტოკა სადმე მიბაღული! ბოლოს იქამდის მივიდა, რომ თავის ტოლ ბიჭებს აღარ ეკარებოდა, თვალს არიდებდა, განზე უვლიდა და უფრო ხშირათ სადმე მარტოობას ეძებდა, თუმცა სული და გული იმათკენ რჩებოდა, უნდოდა იმათთან კოჭაობა, ბურთაობა, სალაობა, ჭიდაობა, ლაზღანდარობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ედიშერა გულკეთილი, ალალი და მოსიყვარულე ბიჭი იყო, მაგრამ ვერ ეპოვნა მეგობარი; აი, ეს იყო მისი მწუხარება.

ამასობაში ობოლი ცხრა წლისა გახდა და ორი წელიწადია სოფლის სკოლაში სწავლობდა! მაგრამ სწავლა როგორღაც არ შედიოდა იმის თავში, გული არ ჰქონდა სწავლისაკენ, აშინებდენ წიგნებიც, ვერ შეიყვარა სკოლა, რადგანაც აქ ხვდებოდა იმ ბიჭებს, რომლებიც აჯავრებდენ, დასცინოდენ. მასწავლებელმაც უნიჭო შაგირდათ ჩათვალა და თან-და-თან გული აიყარა.

II.

ასეთი იყო ედიშერა და ასე მიდიოდა მისი დღეები. არავის არ ეკარებოდა და ხშირათ ტუე-ტუე დახეტიალობდა ან მდინარეში თევზაობდა.

ერთხელ, ახალ გაზაფხულზე, ობოლი ჩვეულებრივ გამოიპარა სკოლიდან და მდინარისკენ გაიქცა. ნესკავები დაემზადებინა და თევზაობას აპირებდა; წისქვილის წინ შედგა და ამ დროს თვალი მოჰკრა მეწისქვილეს, რომელსაც შინიდან კალათით რაღაც მოჰქონდა.

— რა გამოგიხვევია კალათაში, მალხაზო? ჰკითხა ერთმა მესაფქვავემ: —მოიტა, თუ საჭმელი რამეა, ერთი პირი გაგვაცმაცუნებინე...

— ჩასახოხბი ვარიებია! შენ ერთი ცეცხლი გააძლიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე!.. მიუგო მეწისქვილემ და დაანასვა ჰაწაწა ლეკვი: —ამათი ჯული დაიქცეს! გული გაანწვრილეს დღე და ღამ წკმუტუნით! ცხრა დაჰყარა, ი ვერანა მუკნამ, აგერ ორი კვირაა და ჩვენ ჩვენი, იმან თავისი და არ იქნა, ვერა გზით ვერ მოვპარეთ! არც შორდებოდა, ი სამგლე, თავი ლეკვებს და სიახლოვესაც არავის იკარებდა. ისე გააფთრებული გადაჰფაფრია, ასე ჰგონია ოქრო ქოჩრიანი ვაჟიშვილებიაო. წედან, როგორც იეო, ბოსელში შეიტუეილეს და კარები მიუკეტეს; მეც წამოვასხი, რომ წუალში გადავეარო!.. მოდი, ნახევარ თუნგი ჩამოასხი და ალალი იეოს, სუ თვლით ჩაგაბარებ, ძმაო, ცხრა არის! ისე ღუღუნებენ, როგორც ტრედები.—გაეხუმრა მალხაზა მესაფქვავეს, სიცილით მივიდა მორევთან და ჰარტეა-ჰურტეით გადაუდიოდა წუალში ჰატარა ოთხფეხები! რამდენსაც ხელს ახლებდა და კალთიდან ამოიეანდა, ლეკვი ერთს გულსაკლავათ დაიწკმუტუნებდა, განწირულების ხმით შეჰემუვლებდა, თითქო გრძნობდა, რომ აღსასრულის დღე უახლოვდებოდა და მერე ეირწა-ეურწა გადადიოდა ღურღუმელ წუალში!.. მოისმოდა წკმუტუნი, ტეაპანი, წულის ბუებუეი და ჩამოვარდებოდა სიჩუმე... ახლა კიდე... ახლა კიდე...

ობოლი თან-და-თან უახლოვდებოდა მეწისქვილეს და ლეკვების სიბრალულით გული უკვდებოდა. როცა მეწისქვილემ მეცხრე ლეკვის ამოსაეანათ ჩაჰეო ხელი კალთაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ედიშერამ ვეღარ მოითმინა, მოიკრიფა უკანასკნელი გაბედულობა, მივარდა ხელებში მეწისქვილეს და დაღრეჯილი სახით თხოვა: „მე მაჩუქე, ე ლეკვიიი!.

— რათ ვინდა ლეკვი, შე, თითონ ლეკვო? ღიმილით გადაჭხედა მალხაზამ:— შენი საჭმელი კი გაბადია, რომ ამას აჭამო?!.

— შენი ჭირიმე, მომეცი, რა არი? ნუ გადააგდებ! თვალ ცრემლიანი ემუდარებოდა ობოლი, და თან ხელებში შეცქეროდა, ეს უკანასკნელი ლეკვიც ადიდებული წელის წერა არ გახდესო:— „სწორეთ მომეიდე, ფულს მოგცემ, ისე არ მინდა!..

— აჭა, დაიჭი! რა გატირებს, შვილო მაგისთვის!

ბავშმა გამოსტაცა ხელიდან ლეკვი და მოჭქუსლა შინისაკენ, უკან აღარ იხედებოდა...

— ეი, ბიჭო, ბიჭო! მოიცა, სად გარბიხარ?

ედიშერა შედგა თოფნაკრავივით და თავში საშინელმა ფიქრმა გაუელვა:— „ვაი, თუ ისევ წამართვას ლეკვიო!“

— ფულები რაღა უეავ? მოტეუვილება რა ჰატიოსნებაა! დაუძახა მეწისქვილემ.

ობოლს გულიდან რაღაც სიმძიმე მოეშვა, ხელი იტაცა ჯიბეს, სადაც ერთი შაური ეგულებოდა და მეწისქვილისაკენ გაიშვირა.

— წადი, წადი, შვილო, გეხუმრებოდი!

ობოლმა ჩაიკრა გულში ლეკვი და ხტუნაობით გას-

წია. ცოტა მანძილი რო გაიარა, დაჯდა, ლეკვი მუხლებზე დაისვა და დაკვირვებით შინჯვა დაუწყო:

— უი, ცაწკალი ლეკვი! რა ლამაზია! რა ფუნჩულაა! რა გრუზა, გიშრის ფერი ბალანი ასხია!.. თვალებს უეურე, თვალებს! რა ჭკვიანურათ გამოიცქირება! მძივებს არ მიუგავს! ეტეობა, ახალი ახელილი აქვს!" —მერე დასვა მიწაზე, მიატრიალ-მოატრიალა, ხან აქედან შეცქეროდა, ხან იქიდან:

— დაგწკევლოს ღმერთმა! როგორ დარგვალებულა! მუცელს უეურე! ტიკჭორასავით არ გატიკნულა!.. უი, ტა, ტა, ტა! რა ნამკეკა თათები აქვს!—მერე ისევ აიუვანა ლეკვი, გულზე მიისუტა; კოცნა დაუწყო და უალერსებდა:— „ჩემო ლამაზო!.. ჩემო შვენიერო!.. ჩემო ბუთხუზა! ბუთხუზუნა!.. ჩემო ბუტკუცუნა!.. ჩემო ბურდუკა ცუკა, ცუბრუმელა!.. ჩემო... რა დაგარქვა ახლა მე შენ?.. მურა?.. არა, ეს სახელი ბევრსა ჰქვია!.. თოლია?.. ნწუ!.. ბროლია?.. არც ეს მოძწონს და არც შეგშვენის!.. გიშერა?.. ჰო, გიშერა, გიშერა!.. მე ედიშერა, შენ გიშერა!.. მაინც თვალები და ბალანი გიშერს მიგიგავს!.."

ლეკვი ჰასუხათ წკმუტუნებდა, ემუოდა; თან კანკალებდა უცხო ხელში და ხან სად წაჰეოფდა და ხან სად თავის ცივ ცხვირს.

— რათა ტირი, ჩემო გიშერა? დედა გინდა, განა? ბუმუებში ჩახუტება მოგინდა, შე საწუალო? აღარა გეავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედა! წაგართვეს, მოგაშორეს დედა შენს! ვეღარ დაეკონები მუმუებზე! ახლა შენ ობოლი ხარ, უპატრონო!.. მაგრამ ფიქრი ნუ გაქვს! მე ვიქნები შენი პატრონი, შენი ეომვლელი, შენი მეგობარი!.. მეც შენსავით ობოლი და უპატრონო ვარ! ვიუვეთ ერთათ მე და შენ, ჩემო გიშერა!..

ლეკვი მოიკუმშა, მიეკრო გულზე თავის მხსნელს და კუდის ქნევით თითქო მადლობასა სწირავდა უცნობს ასეთის მზრუნველობისათვის.

სიხარულით და გაბედულათ გაექანა შინისაკენ ძვირფასი სტუმრით ედიშერა, რადგანაც დეიდა იქ არ ეგულებოდა და პირველი მისი ფიქრი ის იყო, თუ რა ეჭმია მშიერ-მწყურვალისათვის!.. ქორფა ლეკვის ნაზი ღმილები რომ პურს ვერას დააკლებდა, ეს იმან იცოდა; მაგრამ საცდელათ მაინც გამოუგულა პური და მიუტანა ცხვირ წინ. ლეკვმა დასუნა, თავი გაიქნია, „არ მინდაო", პირი მოარიდა და წუწკუნით რაღაცას ძებნა დაუწყო... რას ეძებდა, თუ იცით?

— დედის ტკბილ ძუძუებს!..

— რავქნა, რა ვაჭამო, ამ საცოდავიშვილსაო! ჭფიქრობდა დაღონებული ედიშერა, რომ უცებ მოაგონდა რძე, რომელიც დეიდას შენახული ჭქონდა. საჩქაროთ გადმოიღო თახჩიდან ქილა, დაასხა ჯამზე და ჩაუდო შიგ ცხვირი. გიშერა შეკრთა, თავი გაიქნია, ერთი სასაცილოთ დაიფრუტუნა და მერე სლაპვა დაუწყო. ედიშერას სიხარუ-

ლის სიცილი აუტუდა; ღიმილით შეცქეროდა შიგ კრიჭაში, ცხვირში უძვრებოდა თავის ლეკვს და სიამოვნებით თვლიდა თითოეულს მის ულაპა-ულუპს.

ლეკვი გაძღა, ენით მიილოკ-მოილოკა ცხვირ-პირი და ჩამოათვალიერა იქაურობა!..

ახლა ედიშერა იმის ფიქრს შეუდგა, თუ სად მოესვენებინა თავისი მეგობარი. რადგანაც ეშინოდა, რომ დეიდას არ გაეგო ახალი მდგმურის შემომატება, სათიეში გაუკეთა მიმალულ ადგილას ბუნაგი და იქ აწოდებდა ქურდულათ სადილ-ვახშამს და მის გვერდით ატარებდა თავისუფალ დროს; ეტიტინებოდა, ეალერსებოდა, ჭკოცნიდა და ჭფუთნიდა არ შემიცივდესო, თავისი წილი რძე იმასთან მიჭქონდა, პირიდან ლუკმას იღებდა და შუა უეოფდა...

რაც ხანი მიდიოდა, გიშერას ასე ცოტა საჭმელი აღარა ჭეოფნიდა. ბოლოს ედიშერა რძეში პურის გულსაც ურევდა.

ასე გავიდა ერთი თვე. ეს დრო ისე გაჭქრა ედიშერასათვის, ვითარცა სიზმარი. აბასობაში ლეკვი წამოიზარდა და ღღითი-ღღე მოუსვენრობა, ეშმაკობა, ცნობის მოყვარეობა ემატებოდა და ამიტომ საშიში გახდა იმის მალულათ ყოლა: ის აღარა დგებოდა თავის ბუნაგში. თუმცა ედიშერა მაგრათ უქოლავდა საბრალებს ქვითა და თივით, მაგრამ ეტყობოდა, რომ გვიან თუ მალე, დღესა თუ ხვალე, ლეკვი მაინც თავს იჩენდა. ასეც მოხდა. ერთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირა დღეს, როცა დეიდა შინ იყო და ედიშერა ის იყო მეზობლიანთგან შემოვიდა, ჰურის სასესხებლათ გაგზავნილი, ნახა, რომ კუდქიცინა არხეინათ სახლში დაბაჯბაჯებდა, კუთხიდან კუთხეში დაბუჯურობდა, თვალ გაფაციცებით ათვალიერებდა და სუნავდა ყოველივეს, რასაც თვალით ჭხედავდა. თავის ჰატრონის დანახვაზე კუდქიცინამ ერთი ხუნტრუცითა და კუდის ქნევით ლაქუცი დაუწყო, ედიშერას ელდა ეცა და სმა ამოუღებლივ ერთ ალაგს გაქვავდა და დეიდას მალულათ, ქვეშ-ქვეშ თვალებში შეცქეროდა. მაგრამ წარმოიდგინეთ იმისი სიხარული, რომ დეიდა არა თუ არ გაჯავრდა, ლეკვის ვინაობა და თავგადასავალი რო გაიგო, გაიხარა კიდეც: იმისი სახლი ცოტა სოფლის განაპირას იყო და თუმცა შიგ ბევრი ავლადიდება არა მოეპოვებოდარა, მარტოხელ დედაკაცს მაინც ფიქრი ჭქონდა.

— მაშ შენია ეგ ლეკვი? კარგათ გიქნია, შვილო, ღმერთიც გიშველის! მაინც მარტოხელათა ვართ და დეე ეგდოს უარაულათ; ათასი ოხერი ხალხი დაეხეტება, დაიეეფებს მაინცა! მაგისი ერთი ლუკმა ჰური რა გახდება!..

ამ დღიდან გიშერამ თავი დაალწია ტუვეობას და დარაჯის ხარისხით დეიდას ციხე-დარბაზში დაბინავდა. ედიშერას სიხარულს საზღვარი არა ჭქონდა.

თეოფ. კანდელაკი.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარნაოზი.

ამასი წლის წინეთ ქრისტეს დაბადებამდის ჩვენ ქვეყანას დიდი უბედურება ეწია. საქართველოს შემოესია თავისი ჯარით გამოჩენილი მეფე ალექსანდრე მაკედონელი, დაამარცხა ქართველები და ჩვენი დედა-ქალაქი მცხეთაც დაიჭირა. თვითონ ალექსანდრე მალე დაბრუნდა უკან და მცხეთაში დასტოვა ჩვენი ქვეყნის ბატონათ თავისი ერთგული კაცი აზონი ჯარებით.

მაშინდელი მცხეთელი მამასახლისი სამარი, რომელიც მეფის ტოლი კაცი იყო, და მისი ძმები სულ ერთიანათ მცხეთის აღების დროს დაიხოცენ ომში. სამარს დარჩა მხოლოთ ერთი პატარა ძმისწული, რომელსაც ფარნაოზი ერქვა. ფარნაოზი მაშინ სამი წლისა იქნებოდა. დედამ მოიტაცა თავისი პატარა ეაჟი და ოსეთში შეიხიზნა. იქ მანაღზარდა ფარნაოზი და გულში სამშობლოს სიყვარული ჩაუნერგა.

როცა ფარნაოზი გაიზარდა ყველაფერი შეიტყო, რაც ქართველებს უბედურება დაემართათ და დედას მოსვენებას აღარ აძლევდა, ეხვეწებოდა მცხეთაში წავიდეთო. დედამაც აღუსრულა თხოვნა, ჩამოვიდა მცხეთაში და იქ იწყო ცხოვრება.

იმ დროს აზონი მცხეთაში ბრძანდებოდა და ძრიელ უსამართლოთ ეპყრობოდა ქართველებს. როგორც კი გაიგებდა, რომ ესა ან ეს ქართველი კაცი ყოჩაღიაო, მაშინვე რაიმე შარს მოუდებდა და მოაკვლევინებდა. ფარნაოზი ხედავდა ამ ამბავს, გული უკვდებოდა, მტრის ჯაერის ამოყრა უნდოდა, მაგრამ რას გახდებოდა.

ახალ-გაზდა ფარნაოზი ოსეთი მოსული ტანისა, ლამაზი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გონიერი ყმაწვილი იყო, რომ ტოლი არა ჰყავდა. ამას გარდა ძრიელ ყოჩაღი მონადირე იყო. აზონმა გაიცნო ფარნაოზი, დაიახლოვა, ძრიელ მოსწონდა მისი ნადირობა და, ვითომც, სიყვარულითაც ექცეოდა. ფარნაოზის დედას ძრიელ ეშინოდა და ბევრჯერ ურჩია შვილს: შვილო, სპარსეთში წავიდეთ ჩემ ნათესავებთან და იქ ვიცხოვროთო, მაგრამ შვილი არ დათანხმდა. იკი დღე და ღამე სულ იმის ფიქრში იყო, როგორ გაეთავისუფლებია თავისი საყვარელი სამშობლო, მაგრამ ამისთვის ჯერ-ჯერობით არც ძალა ჰქონდა და არც საშუალება.

***

ერთს ღამეს, როცა ფიქრისაგან დალალულ ფარნაოზს ეძინა, საკვირველი სიზმარი ნახა: „ვითომც ბნელსა და კარებ ჩაკეტილ სახლში იმყოფებოდა, უნდოდა გამოსვლა და ვერ ახერხებდა. ამ დროს, მოულოდნელათ, სარკმელში მზის სხივებმა შემოაშუქეს, მოეხვიენ წელზე ფარნაოზს და გაათავისუფლეს. როცა კარში გამოვიდა, მინდორში მდებარე მზე ნახა, მოხოცა მზეს ხელით ცვარი და პირზე იპკურა“, ამ დროს კიდეც გაპოელვიძა. ძრიელ გაუკვირდა, ვერ მიმხვდარიყო, რას მოასწავებდა ეს საკვირველი სიზმარი.

დილით საყვარელ დედას უამბო თავისი სიზმარი. დედამ ასე აუხსნა: „შენი სიზმარი იმას მოასწავებს, შვილო, რომ თუ დამიჯერებ და ჩემ სამშობლოში წამოხვალ, იქ დიდი ბედნიერება მოგელისო“. ასეთი ახსნა ფარნაოზს მაინც არ დაუჯდა ჭკუაში, ის სულ სხვა ფიქრებით იყო გატაცებული.

***

ერთს დღეს დალონებული ფარნაოზი სანადიროთ გამოვიდა მცხეთიდან. სულ მარტო იყო და დილომისაკენ გასწია, სადაც მაშინ დიდი ტყეები იყო. იარა-იარა და იმ ადგილს მიახლოვდა, სადაც ახლა თფილისის ქალაქია. აქაც იმ დროს ტყეები იყო. საღამოს ჟამს ფარნაოზს წინ ირემი შეეფეთა; სტყორცა ისარი და დაჰკოდა ირემი. დაკოდილი ირემი კლდისაკენ გაექანა და წაიქცა. ფარნაოზიც უკან გაჰყვა და მიუახლოვდა კლდეს, მაგრამ ამ დროს დაღამდა კიდეც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონადირემ ღამე იმ კლდის ძირში გაათია. გათენებისას წვიმა დაუშვა. ფარნაოზს უნდოდა თავშესაფარი ადგილი ეპოვა. მისი ყურადღება მიიქცია ერთმა გამოქვაბულმა, რომლის შესავალი კარები ამოშენებული იყო, მაგრამ სიძველისაგან ცოტათ ჩამონგრეულიყო. ფარნაოზმა გამოანგრია კარები და შიგ შეიდა. აქ მან საკვირველი რამ დაინახა; მთელი გამოქვაბული სავსე იყო ოქრო-ვერცხლით და სხვა ძვირფასი საუნჯით. მეტის-მეტათ გაეხარდა. როგორც კი წვიმამ გადიღო, ამოაშენა ხელახლა გამოქვაბულის შესავალი და შინისკენ გასწია. აქ მან თავის საყვარელ დედას უამბო ყველაფერი. იმ ღამესვე იწყეს საუნჯის გადმოზიდვა ფარულათ. ხუთი ღამე ზიდეს და ძლივს გადმოზიდეს. ამ გვარათ ფარნაოზმა მოიპოვა სახსარი თავისი გულის წადილის აღსასრულებლათ.

*
* *

ახლა მისთვის საჭირო იყო ისეთი კაცები, რომლებიც დაეხმარებოდენ მას აზონთან ბრძოლაში. მან გაუგზავნა ჩუმათ მოციქული თვისს მახლობელ ნათესავს სამეგრელოს მთავარს გუჯის; აცნობა, რაც განძი იპოვა და თხოვა, მოშველებოდა აზონთან ბრძოლაში. გუჯის ძრიელ იამა ეს ამბავი და 'მემოუთვალა: მოემზადე საომრათ და მეც მზათ ვიქნებიო. ამას შემდეგ ფარნაოზმა გაანდო თავისი განზრახვა ყველა გამოჩენილ ქართველებს, შეჰკრიბა ჩუმათ ჯარები ოსეთში, ლეკებში და, როცა ყველაფერი მზათ იყო, მიულოდნელათ დაეცა თავს მცხეთაში მყოფ ბერძნების ჯარებს და აიღო მცხეთა. მთელი საქართველო აღელდა და ყველას უხაროდა ეს ამბავი.

შეშინებული აზონი კლარჯეთის მხარეში გაიქცა, იქ გამაგრდა და ახალი ჯარები მოიშველია, მას უკან მიჰყვენ ფარნაოზი და გუჯი თავიანთი ჯარებით. მოხდა საშინელი ბრძოლა. აზონი და მისი ლაშქარი გამწარებული იბრძოდენ, მაგრამ ქართველებმა აჯობეს, გაიმარჯვეს და თვითონ აზონიც მოჰკლეს.

ამას შემდეგ მთელმა საქართველომ აღიარა მეფეთ ფარნაოზი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელმაც გაათავისუფლა იგი. ამ გვარათ ფარნაოზი შეიქმნა საქართველოს პირველი მეფე; ეს ამბავი მოხდა სამასი წლის წინეთ ქრისტეს დაბადებამდის.

როცა მტრები მოიშორა, ფარნაოზი შეუდგა თავის სამეფოს რიგიანათ მოწყობას. მთელი სამეფო რვა ნაწილათ გაჰყო. ყველა ნაწილში თითო ერისთავი დააყენა, რომელსაც უნდა კარგათ ეპატრონებინა თავის საერისთავოსთვის და, თუ საჭიროება მოითხოვდა, მოშველებოდა მეფეს. თავისი ხალხი ოთხ წოდებათ გაჰყო: თავადებათ, აზნაურებათ, მოქალაქეებათ და გლეხებათ.

ამას გარდა, რადგანაც ბევრი ქალაქები და ციხეები იყვენ დანგრეული მტრებისაგან, ფარნაოზმა აღადგინა ისინი და ზოგი თითონაც ააშენა.

***

ფარნაოზმა რომ თავისი სამეფო რიგიანათ მოაწყო, მერე იმის ფიქრს შეუდგა, თუ როგორ ეშველა ხალხის გონების განათლებისთვის. ამ საქმისთვის ყველაფერზე უწინ საჭირო იყო, ხალხს ანბანი ჰქონოდა, რადგანაც უანბანოთ სწავლა-განათლება ყოვლად შეუძლებელია. ფარნაოზმა იცოდა, რომ ბერძნებს, ურიებს და ბევრ სხვა უწინდელ ხალხებს ჰქონდათ ანბანი და წერა-კითხვის შესწავლას მისდევდენ, მაგრამ სხვისი ანბანი ქართული ენისთვის გამოსადეგი არ იყო. მაშ თვითონ უნდა ცდილიყო, რომ ქართველებისათვის საკუთარი ანბანი შეედგინა. იგი, მართლაც, შეუდგა ამ ძნელ საქმეს, დაიხმარა, უეჭველია, სხვა ჭკუიერი კაცებიც და შეუდგინა ქართველებს ის შვენიერი ანბანი, რომელსაც ჩვენ დღესაც ეხმარობთ და მსედრულ ანბანს ვეძახით. ეს ანბანი ისე სრული და ადვილია, რომ უკეთესი ანბანი, ეგონებ, არც ერთს ხალხს, არც ძველსა და არც ახალს, არა აქვს.

აი რამდენი სიკეთე უყო ჩვენმა პირველმა მეფემ—ფარნაოზმა თავის საყვარელ ხალხს—ქართველებს.

გ. წულუკიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკვირველებანი ბუნებისა.

9

ხე-გველა

ვენ გავიცანით გაუმაძღარი ნეპანტისი და ბუშტოსანა; შევიტყეთ მათი ზნე და ხასიათი.

ჩვენ ვიცით, რომ ისინი თავისი შვენიერი ფოთლებითა და ყვავილებით ჰფარავენ თავის ბორბოტ ხასიათს; ვიცით, რომ თავისი სიკეკლუცით ჰხიბლავენ და იტყუილებენ საწყალ მწერებს.

მაგრამ არის ისეთი მცენარეებიც, რომლებიც ატყუებენ და სჩაგრავენ სხვა მცენარეებს.

პირველესი ადგილი მათ შორის ეკუთვნის ხე-გველას.

ხე-გველა ამერიკის მცენარეა. პირველ ამოსვლაში მეტის-მეტი სუსტი, საცოდავი სანახაობისაა. ამოდის მიწიდან ერთ ღერათ; ღერი იცის საშინელი მაღალი და თან ისეთი წრიოკი (წვრილი), რომ თავის თავათ დგომაც კი არ შეუძლიან. ვინც ნახავს, ყველას შეებრალება; ყველა ეცდება, გაუწოდოს მას საშველათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტოტი და გაამაგროს ფეხზე ფსფსური, დაჩაგრული მცენარე. ან კი ვინ იქმნება ისეთი გულქვა, ისეთი შეუბრალებელი, რომ ნახოს ეს ყოვლის ფრით შვენიერი, ნორჩი და თან ჯერეთ ულონო ხე-გველა, და არ აღმოუჩინოს მას შემწეობა.

ვთქვათ, არც თითონ ხე-გველაა უზრუნველათ, ეურმიგდებული: გაშვებული აქვს მკლავებივით ყველა მხარეს წვრილ-წვრილი ტოტები და დეეძებს რომელიმე გულშემატკივარს, კეთილსა და შემბრალებელ მეზობელს, ცდილობს ვისმე შეაფაროს თავი, სანამ კარგა მოლონიერდებოდეს.

აი იშოვა კიდეც ამ გვარი მცენარე. მისწვდა მახლობელ ხის ტოტს და შეეხვია. ახლა აღარა უჭირს რა: ჰყავს მფარველი მეზობელი და აღარც ფეხზე დგომა უჭირდება.

მაგრამ ნურც ისე გეგონებათ. განა მართლა მფარველი ვინმე უჭირდა ხე გველას! სრულიათაც არა. ის ისე, განგებ აბრალებდა თავს თავის მეზობლებს. ნამდვილათ კი მას უნდოდა ხელთ ეგდო მსხვერპლი, მას ჭსურდა ეშოვნა დავლა.

იშოვნა და თითონ იცის ახლა: შეეხვევა ზედ გველივით, შეკბოჭავს და ამოკხუთავს სულს საბრალო კეთილ მეზობელს, ამოსწოვს რაც მას წვენი უდგა და გამოკვეტავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ მას, რასაკვირველია, ძირიც აღარ ესაჭიროება. ხელათ ამოიძრობს ძირს მიწიდან და სრულიად თავისუფლათ ეხვევა ხეებს გველივით.

გამოკვეიტავს, ამოახმობს ერთს და გადადის მეორესთან, რომ ახლა იმას მოუღოს ბოლო. მისდევს ასე და მუსრს ავლებს თავის გარეშემო ყველა მცენარეს.

და აი, ის უსუსური, ის უძლური ხე-გველა, რომელიც წინათ ყველას თავს აბრალებდა, ახლა თითონ აღარ იბრალებს არავის და ყველას, — მტერს თუ მოკეთეს, უთხრის სამარეს.

ლადო აღნიაშვილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა წინამძღოლი.

(თარგმანი)

მერიკაში ფრანგები მექსიკანელებს რომ ეომებოდენ, იმ დროს, ერთ სოფელში ფრანგებმა შეიპყრეს თორმეტი წლის პატარა ვაჟი, რომლის დატყვევებამაც მეტათ შეაწუხა და სასოწარკვეთილებაში ჩააგდო მთელი რაზმი მექსიკანელებისა.

— რაში გამოგვადგება ეს პატარა ბიჭი, — ბუტბუტებდა ფრანგების ჯარის წინამძღოლი, — ადრე თუ გვიან, ხომ უნდა გავათავისუფლოთ! საქმე ის არის, რომ წეული ძათი წინამძღოლი, ელ-ვანჟადორი, ხელიდან გაგვიმვრა.

— კაპიტანო! — გაუბედავათ შეეხმაურა აფიცერი, რომელიც გვერდით მისდევდა, — გამოვკითხოთ მაინც რამე, ბავშს.

პატარა მექსიკანელი, თუმცა კარგათ არ ესმოდა ფრან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გული ენა, მაგრამ მაინც ეურადღებით უგდებდა ეურს. იგი მეტათ ლამაზი ბავში იუო: მისი დიდრონი შავი თვალები, წითელი ჰატარა ტუჩები, მოხდენილი, კოხტა ტანის მოუვანილობა მეტათ სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა ადამიანზე.

— ჰატარავ, — უთხრა კაპიტანმა — შენ იცნობ ჩვენი მტრის ჯარის წინამძღოლ ელ-ვანჟადორს?

— ვიცნობ. — უპასუხა ჰატარა ტუვემ.

კაპიტანმა სიამოვნებით გაიღიმა და ამოიღო ჯიბიდან ფულის ქისა.

— ხომ იცი ის ადგილი სადაც ვანჟადორი იმალება ხოლმე?

— ვიცი! კიდევ მიუგო ბავშმა.

— შეგიძლიან გვაჩვენო ის ადგილი?

ბავში ჰასუხს არ იძლეოდა. კაპიტანმა მის თვალწინ გადმოჭუარა ქისიდან ოქროები.

— შენ მთელ გროვა ოქროებს მიიღებ, თუ გვიჩვენებ ელ-ვანჟადორის ბინას. — დაუმატა კაპიტანმა.

ჰატარა მექსიკანელი გაუგებრათ იღიმებოდა.

— გამიგონეთ! — დაიწუო ცოტა სიჩუმის შემდეგ უმაწვილმა. — თუ ხვალამდის დამაცდით, მე თქვენ ერთი ვიწრო გზით წაგიუვანთ ელ-ვანჟადორის ბინაზე, მხოლოდ თქვენ, უეჭველათ, ფეხდა-ფეხ უნდა მამდიოთ.

— რა თამამი ბავშია, — შენიშნა ერთმა ჯარის კაცმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნუ აწუვეტინებთ ლაპარაკს. — უბძანა ჯარის კაცს კაპიტანმა და მოუბრუნდა ბავშს — განაგრძე ჰატარავ!

— ერთ ადგილს, რომელსაც მე გაჩვენებთ, თქვენ უნდა გაჩერდეთ და მე მარტო გამიშვათ წინ.

— კაი სერხია ფულის საშოვნელათ! — შენიშნა კიდევ სხვა ჯარის კაცმა.

ჰატარა ტუვემ ერთი ამაუათ შეხედა და განაგრძო. — როდესაც მე დაუსტვენ, თქვენ დაინახავთ კლდის ძირში იმას, ვისაც ეძებთ; გარს თავისი ჯარი ეხვევა. მისი ცნობა ადვილია, ულზე ოქროს საულო ავლია და გულზე მრავალი სამსახურის ჯილდო აქვს.

— რომ მოგვატეუო და ხიფათში გაგვაბა? — დაეკითხა კაპიტანი.

ჰატარა ბავში გაწითლდა, მის თვალებში წეენა და შეურაცხყოფა გამოიხატა. ამაუათ შეხედა კაპიტანს და თამამათ უპასუხა: — ჩემი ჰატიოსანი სიტუვა მგონია საკმარისია.

ისეთი არა ჩვეულებრივი დაბეჯითებით და თამამათ ლაპარაკობდა და ისე მედიდურათ ეჭირა თავი, რომ ვერავინ გაბედა ან დაეცინა ან არ დაეჯერებინა.

მეორე დღეს კარგათ შეიარაღებულ ფრანგების ჯარს წინ მიუძღვოდა ჩვენი ნაცნობი ჰატარა ტუვე და მიჰყავდა დანიშნულ ალაგს. ცნობის მოუვარეობით ათვალიერებდენ ფრანგები თვალუწვდენელ კლდეებს და უზარ-მაზარ ხეებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებითაც სავსე იყო ის ადგილი. უცებ მიადგენ საშინელ უფსკრულს, დაინახეს, რომ ციცაბო კლდის თავზე იმეოფებოდენ: მიიხედ-მოიხედეს და ბავში ველარსად ნახეს; სადღაც გამქრალიყო. გაკვირვებით სიტყვის თქმას ველარ ახერხებდენ.

— მოგვატყუა! გაგვასულელა იმ ჰატარა მაცდურმა! — ბუტბუტებდა ერთი ბებერი ჯარის კაცი. ჯავრობდენ აგრეთვე სხვებიც; კაპიტანი ძლივს იმაგრებდა თავს სიბრაზისაგან.

— ნეტავ იმ ჰატარა ბოროტმა საფრხეში არ ჩაგვაგდოს!—ამბობდა ის და აპირებდა ჯარისთვის უკან დაბრუნების ნიშანი მიეცა, რომ გაისმა ძლიერი სტვენა; ფრანგები გაიქცენ კლდის მეორე ნაპირისაკენ, საიდანაც მოისმა სტვენა და უცნაური სურათი წარმოუდგათ თვალწინ: ჰატარა მოედანზე, კლდის პირას, მათ დაინახეს ორმოცდა ათი მექსიკანელი: ზოგი მათგანი თავისუფლათ წამოწოლილიყო მწვანეზე, ზოგი ბანქოს თამაშობდა და ზოგს ეძინა ან თავს იმძინარებდა. მათ შუა ამაყათ იდგა ჩვენი ნაცნობი ჰატარა ტყვე და დაცინვით შეჰყურებდა ფრანგების ჯარს. უეცრათ ბავშვმა გადიძრო წამოსასხამი და გამოუზნდა ყელზე ოქროს საყელო და გულზე მრავალი ჯილდო მექსიკანელი ჯარის წინამძღოლისა. ამავე დროს გაისმა ბავშის მკაფიო ხმა:

— კაპიტანო!—წარმოთქვა მან ამაყათ.—ხომ ხედავთ, რომ ჩემი სიტყვა ავასრულე. აი, დაიხახეთ ის, ვისაც ეძებდით; წინამძღოლი და მმართველი მექსიკანელი ჯარისა, ელვანჟადორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვერაფერი ხუმრობაა!—შენიშნა ერთმა ჯარის კაცმა.

ბავშმა წარბებ შეჭმუხვნით განაგრძო.—არ გეგონოთ, რომ გატ უებდეთ! ამ რამდენისამე დღის წინათ მე დავიჭირე მამის ალაგი, რომელიც მოჭკლეს თქვენმა ანანამოძმეებმა, როცა მექსიკას ალეა შემოარტყეს. მე მაშინ ალთქმა დაჭდე, რომ მაგიერს გადაგიხდიდით, ახლა კი მის დასამტკიცებლათ, რომ მოტეუებით თქვენი საფრხეში გაბმა არ შინდოდ`, ვთხოულობ, ახლავე მოგვშორდეთ თვალიდან, რაც შეიძლება მალე, თორემ მერე მე ჰასუხის გამცემი ალარ ვიქნები, თუ ჩემი ჯარი ცუდ რასმე მოახდენს.

ფრანგებს ბარემ უნდოდათ, რომ ჯავრი ამოეყარათ ამ თორმეტი წლის მამაცი წინამძღოლისა, მაგრამ მოუსერხებლათ დაინახეს და იძულებული გახდენ, რომ უკან დაბრუნებულიყვენ და თავიანთი ტეეე იქ დაეტოვებინათ.

სონა ციციშვილი.

ქურდი მოჯამაგირე.

(იგავი)

ბატონს თავისი მოჯამაგირე ძლიერ უყვარდა, მხოლოთ ერთხელ მას ქურდობა შეამჩნია: ცხვარი მოეპარა და გაეიდნა. ამ ამბის გაგებამ ბატონი ძლიერ შეაწუხა ჯ გულმტკივნეულათ შესჩივლა მეზობლებს: „რას წარმოვიდგენდი, თუ ჩემი მოჯამაგირე ასე მიღალატებდა! დღემდის შვილივით ვუცქერობდი, ახლა არ ვიცი, რა ვუყოვო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმათ ურჩიეს: „მაგ საქმეს მხოლოთ ერთი საშველი აქვს: უნდა მოჯამაგირე დაითხოვოთ“.

არ მიიღო ბატონმა ეს რჩევა: მოჯამაგირე ვერ გაიმეტა მოსაშორებლათ. იმან იფიქრა, იფიქრა და გადასწყვიტა: „მოდი, ჯამაგირს მოვუმატებ და ვნახოთ ამას შემდეგ რას იზამსო“. თქვა და აღასრულა. მოჯამაგირემ ახლა ძროხა მოიპარა. ბატონმა მეორეთ მოუმატა ჯამაგირი. მოჯამაგირემ ახლა ცხენი მოიპარა. ბატონმა მესამეთაც მოუმატა ჯამაგირი.

ამას შემდეგ მოულბა მოჯამაგირეს გული: შერცხვა, შეწუხდა, იტანჯა და დარდის გასაქარვებლათ მიმართა ბატონს: „ვაი ჩემს თავზე ლაფის დასხმას!“ ცრემლიანის თვალით შესჩივლა მან უკანასკნელს: — „ეშმაკის ცხენზე შევჯექ, თვალები ამება და შენი მამაშვილური ზრუნვა და პატივი გვიან დავინახე; რამდენიც ავათ მოგეპუარ, შენ სიკეთით გარდმიხადე; შენმა გულ-კეთილობამ ისეთნაირათ სძლია ჩემი სიავკაცე, რომ თუ დღეის იქით უჯამაგიროთ არ მიმსახურებ, იმას ვირჩევ შენის ხელით ველი გამომჭრაო“.

მართლაც, მოჯამაგირემ აღარც ჯამაგირი იკისრა, მოპარული საქონელიც დაუბრუნა და ზნე-ხასიათიც შეიცვალა.

ალ. მ—შვილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხური ლექსი.

(ოკრიბული ლექსი ჩაწერილი დ. თომაშვილისაგან).

ნეტავ რა არის მისთანა
ამომავალი მზისთანა,
გალმა-გამოლმა ქალაქი,
შუაზე მეიდნისთანა,
წყალში რომ ფეხი უდგია
იმ „ოქროს ჩარდახისთანა“,
კაცის ხელითა ნაშენი
საყდარი გელათისთანა,
დედის ძუძუთო ნაზარდი
მარიამ დედოფლისთანა.

—

პურშავი.

სტუმარი მიყვარს ისეთი,
კბილი არ ჰქონდეს არც ერთი.

—

ზმეები.

(წარმოდგენილი სოლ. გოშაძესაგან.)

ბჭე ქარმა დააზიანა.
მოველ ვალის ასაღებათ.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ა რ ა დ ა

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილისაგან).

პირველი სიტყვა ნახევარია,
სრული რომ იყოს მშობელს ეტყვიან,
მეორე სიტყვა სრულათ გამოდის,
რომელიც ქალის ქმრის დასა ჰქვიან.
თითონ კი ერის საკუთრებაა,
პატიოსანნი მისთვის იბრძვიან,
არ დაზოგავენ თავის სიცოცხლეს
თუ კი მტრისაგან მას დაიხსნიან.

ა ნ დ ა ზ ე ბ ი.

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილისაგან)

რაც თხამ თრიმლს უყო, ის თრიმლმა თხის ტყავსა.

სხვილ სხვილი მენაფოტე მალე წავა ტყეშიაო.

ურია ცხენიდან გადმოვარდა: მაინც უნდა ჩამოვსულვიყავიო.

გეომეტრიული ამოცანა.

(წარმოდგენილი მიხეილ კიკნაძისაგან).

აბა ეს ნახატი გასჭერით ათ ნაწილათ ისე, რომ იმათგან სწორი სამკუთხი გამოვიდეს?



ეროვნული ბიბლიოთეკა

რ ე ბ უ ს ი.

(წარმოდგენილი ე. ეორდანიასაგან).

ო , წ 1, 10 ცქ , ,

50 ი | ტოლის მუდი. | უ , | ძნის შე-საკრავი.

, ა , ს 4 ა ნ ს | ადამის ტოლი. | ო

№ X გამოცანების ახსნა.

ანაგრამა: ლომი—მოლი.

გამოცანა: 1) ბროწეული, 2) წისქვილი, 3) თარი.

აკროსტიხი: ნიკოლაძე.

შარადა: ვარძია.

გეომეტრიული ამოცანა.



რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.